



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 18.342.597
24 / მაისი / 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოვლის სტანდარტული აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და 75-ე მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოვლის სტანდარტული აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა, ამ განკარგულების დახარტის შესაბამისად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობისას იხელმძღვანელოს ამ განკარგულების დახარტით დამტკიცებული აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმით.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, ამ განკარგულების დახარტით დამტკიცებული გეგმის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითამეს.
5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოვლის
სტანდარტული აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა

N	სამუშაოს დასახელება	ჯერადობა	ვადები	შენიშვნა
	ხეები			
1	ხეების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა	1	ნოემბერი თებერვალი	საჭიროების მიხედვით
2	სარწყავი ჯამების მოწყობა	2	თებერვალი მარტი	დაზიანების შემთხვევაში საჭიროებისამებრ
3	სარწყავი ჯამების გათოხნა - გაფხვიერება და სარეველებისაგან გაწმენდა	12	აპრილი ოქტომბერი	საჭიროებისამებრ მთელი ვეგეტაციის განმავლობაში
4	გამოკვება ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი NPK	1	აპრილი- ივლისი	200-300 გრ. შესატანი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია მცენარის ასაკსა და სიმაღლეზე. უმჯობესია მცენარეთა გამოკვება ჩატარდეს ძირითადი საკვები ელემენტებით ვიზუალური დიაგნოსტიკის შემდგომ
5	გამოკვება ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი PK)	1	ნოემბერი	200-300 გრ. შესატანი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია მცენარის ასაკსა და სიმაღლეზე
6	მორწყვა ერთ ძირზე 40 ლ წყლის დასხმით	25-35	მარტი - ოქტომბერი	ზამთრის გვალვის დროს მორწყვა საჭიროებისამებრ

7	ჯამებში ორგანული სასუქის შეტანა (2.5 - 3 კგ. ერთ მცენარეზე)	1	ნოემბერი - თებერვალი	
8	ფულუროს დამუშავება	1	თებერვალი-მარტი ან ნოემბერი - დეკემბერი	
9	სანიტარული გასხვლა (ხმელი, ხმობადი, დაავადებული ტოტების შეჭრა, შეგროვება, გატანა, სუროსაგან გაწმენდა, ფოთლოვან ხეებზე გვერდითი ამონაყრების შეჭრა, ფესვის ყელიდან ვარჯის განშტოებამდე)	1	მარტი - აგვისტო	საჭიროების მიხედვით
10	მოსალოდნელი მავნებელ დაავადებათა საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება		აპრილი - ოქტომბერი	საჭიროების მიხედვით
11	სარწყავი ჯამების დახურვა	1	ნოემბერი	საჭიროების მიხედვით (ხნოვანების გათვალისწინებით)
	ბუჩქები			
1	ბუჩქების ირგვლივ წიადაგის შემობარვა	1	ნოემბერი თებერვალი	საჭიროების მიხედვით
2	სარწყავი ჯამების მოწყობა	2	თებერვალი მარტი	დაზიანების შემთხვევაში საჭიროებისამებრ
3	სარწყავი ჯამების გათოხნა - გაფხვიერება და სარეველებისაგან გაწმენდა	14	აპრილი ოქტომბერი	საჭიროებისამებრ მთელი ვეგეტაციის განმავლობაში
4	გამოკვება ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი NPK	1	აპრილი-ივლისი	100-150 გრ. შესატანი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია მცენარის ასაკსა და სიმაღლეზე. უმჯობესია

				მცენარეთა გამოკვება ჩატარდეს ძირითადი საკვები ელემენტებით ვიზუალური დიაგნოსტიკის შემდგომ
5	გამოკვება ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი PK)	1	ნოემბერი	50-100 გრ. შესატანი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია მცენარის ასაკსა და სიმაღლეზე
6	მორწყვა ერთ ძირზე 20 ლ წყლის დასხმით	25-35	მარტი - ოქტომბერი	ზამთრის გვალვის დროს მორწყვა საჭიროებისამებრ
7	სარწყავ ჯამებში ორგანული სასუქის შეტანა (1.0-1.5 კგ. ერთ მცენარეზე)	1	ნოემბერი - თებერვალი	
8	მოსალოდნელი მავნებელ დაავადებათა საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება		აპრილი - ოქტომბერი	საჭიროების მიხედვით
9	გასხვლა, ფორმირება	2	მარტი - აგვისტო	საჭიროების მიხედვით
10	შეფუთვა	1	დეკემბერი	საჭიროების მიხედვით
11	მცენარეების ჩამორეცხვა სასიცოცხლო ფუნქციების გაუმჯობესების მიზნით	ფოთლოვნები 5-6 ჯერ, წიწვოვნები 8-10 ჯერ.	სავეგეტაციო პერიოდში	საჭიროების მიხედვით
12	ბუჩქების სარწყავი ჯამების დახურვა	1	ნოემბერი	
	ბორდიური (ცოცხალი ღობე)			
1	ბორდიურის (ცოცხალი ღობე) ირგვლივ ნიადაგის შემობარვა	1	ნოემბერი თებერვალი	საჭიროების მიხედვით
2	სარწყავი თხრილის მოწყობა	2	თებერვალი მარტი	დაზიანების შემთხვევაში საჭიროებისამებრ

3	სარწყავი თხრილის გათოხნა - გაფხვიერება და სარეველებისაგან გაწმენდა	14	აპრილი ოქტომბერი	საჭიროებისამებრ მთელი ვეგეტაციის განმავლობაში
4	გამოკვევა ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი NPK	1	აპრილი- ივლისი	100-150 გრ. შესატანი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია მცენარის ასაკსა და სიმაღლეზე. უმჯობესია მცენარეთა გამოკვევა ჩატარდეს ძირითადი საკვები ელემენტებით ვიზუალური დიაგნოსტიკის შემდგომ
5	გამოკვევა ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი PK)	1	ნოემბერი	ერთ გრძ. მეტრზე 80-100 გრ.
6	მორწყვა ერთ გრძ. მეტრზე 30 ლ წყლის დასხმით	25-35	მარტი - ოქტომბერი	ზამთრის გვალვის დროს მორწყვა საჭიროებისამებრ
7	სარწყავ თხრილებში ორგანული სასუქის შეტანა (ერთ გრძ. მეტრზე 1.5-2.0 კგ. ერთ მცენარეზე)	1	ნოემბერი - თებერვალი	
8	გასხვლა, ფორმირება	8	მარტი - აგვისტო	საჭიროების მიხედვით
9	მოსალოდნელი მავნებელ დაავადებათა საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება		აპრილი - ოქტომბერი	საჭიროების მიხედვით
10	მცენარეების ჩამორეცხვა სასიცოცხლო ფუნქციების გაუმჯობესების მიზნით	ფოთლოვნები 5-6 ჯერ, წიწვოვნები 8-10 ჯერ.	სავეგეტაციო პერიოდში	საჭიროების მიხედვით
11	სარწყავი თხრილების დახურვა	1	ნოემბერი	

	გაზონი (მოლი)			
1	გაზონის (მოლი) მორწყვა შხაპისებრი პრინციპით 1 მ ² -ზე 20 ლ. წყლის დასხმით	200-220	მარტი ოქტომბერი	ადრე დილით ან გვიან საღამოს (ზამთრის გვალვის დროს მორწყვა საჭიროებისამებრ)
2	ბალახის გაკრეჭა-გათიბვა (შესაბამისი მექანიზმებით), გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ა/ტრანსპორტზე დატვირთვა და გატანა (გაკრეჭისთანავე)	20-30	მარტი- ნოემბერი	საჭიროების მიხედვით
3	გამოკვება ძირითადი საკვები ელემენტებით (აზოტიანი სასუქი, გვარჯილა)	6-10	მარტი - ივლისი	ერთ მ ² -ზე 30-40 გრ.
4	გამოკვება ძირითადი საკვები ელემენტებით, კომბინირებული სასუქი PK)	1	ნოემბერი	ერთ მ ² - ზე 30-40 გრ.
5	დაფოცხვა, დასუფთავება საჭიროების მიხედვით სარეველებისაგან და თვითამონაყარი მცენარეებისაგან გასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენის შეგროვება და გატანა	20-30	იანვარი- დეკემბერი	საჭიროების მიხედვით
6	დაზიანებული გაზონის აღდგენა (რემონტი), ბელტით ან შეთესვით		მარტი - სექტემბერი	საჭიროების მიხედვით
	ყვავილნარები			
1	მცენარეების დარგვის წინ ნიადაგის გადაბარვა (საშემოდგომო და საგაზაფხულო) და ფოცხით მოსწორება	1	ნოემბერი - დეკემბერი, აპრილი - მაისი	
2	ნიადაგის დამუშავება მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგოდ (დარგვამდე)			საჭიროების მიხედვით

3	მცენარეებზე მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება		წლის მანძილზე	საჭიროების მიხედვით
4	ყვავილნარების მიმდებარე ტერიტორიაზე სარეველების საწინააღმდეგოდ ჰერბიციდების გამოყენება		აპრილი - ოქტომბერი	საჭიროების მიხედვით
5	ორგანული სასუქის შეტანა (გადამწვარი ნაკელი)	1	ნოემბერი - დეკემბერი	ერთ მ ² - ზე 6 - 10 კგ.
6	პერიოდულად გათოხნა, გაფხვიერება, სარეველების მოშორება		მთელი წლის მანძილზე	
7	მორწყვა			რეგულარულად, საჭიროების მიხედვით
8	გადაყვავილებული ყვავილების ხმელი და ყვითელი ფოთლების შეცლა		მთელი წლის მანძილზე	საჭიროების მიხედვით
9	მინერალური სასუქებით გამოკვება		პერიოდულად	საჭიროების მიხედვით, დამოკიდებულია მცენარის ჯიშსა და პერიოდზე